

## დერივატივები: ჰეზირება და სპეციალაცია

### მაია გოგოხია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
მოწვევული ასოცირებული პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
mayagogokhia@gmail.com

**საპანძო სითყვები:** საფორმო ბაზარი, რისკები, ჰეზირება, სპეციალაცია,  
ფინანსები, ოფიციალური, ფორმაციური

ეროვნული ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრის გამართული ფუნქციონირება, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს ინვესტიციების და ინვაციების დაფინანსებისას. ამავდროულად, ფინანსური ბაზარი თანამდეროვე გლობალური ეკონომიკის მეტად აქტუალური სფეროა, რომელიც სწრაფად იცვლება და ვითარდება. ფინანსური შეამავლობის (financial intermediation) განვითარებასთან ერთად განვითარება დიდი მრავალფეროვნება ფინანსური აქტივებისა, ანუ ფინანსური ინსტრუმენტებისა — აქციები, ობლიგაციები, გირავნობის სიგელები, ურთიერთ ფონდები, REPO გარიგებები. ეს აქტივები იყიდება (ივაჭრება) საფონდო ბაზრებზე (Millsper მ. 2000:94).

საფონდო ბაზარი წარმოადგენს გლობალურ სავაჭრო სივრცეს, რომელიც ემორჩილება საერთო კანონებს და ფუნქციონირებს ორგორულ ერთი მთლიანი. სხვადასხვა ქვეყნის საფონდო ბაზრების დინამიკა, ბევრ შემთხვევაში განპირობებულია ყველა ბაზრისთვის საერთო პროცესებით.

ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საინვესტიციო ოპერაციების განხორციელებას ახლავს სისტემური და არასისტემური რისკები. სისტემური რისკი არის მთლიანად ფასიან ქაღალდების საბაზრო კურსის დაცემის რისკი. ის არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ფასიან ქაღალდთან, არადივერსიფიცირებადი და შეუმცირებადია. არასისტემური რისკი აგრძელებული პროცესია, რაც აერთიანებს კონკრეტულ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებულ ყველა რისკს. ინვესტორს შეუძლია შეამციროს ეს რისკი ფასიანი ქაღალდის არჩევით (სახეობა, ემიტენტი, გამოშვების პირები). არასისტემური რისკი აისახება ცნებით — ფასიანი ქაღალდის საინვესტიციო ხარისხი.

მოცემული ფასიან ქაღალდის რისკების შემცირებისას, იზრდება მისი ლიკვიდობა და მცირდება შემოსავლიანობა. რა თქმა უნდა, ეს წესი მუდავნედება მხოლოდ გასაშუალოებისას, შემთხვევათა მნიშვნელოვან ნაწილზე, მაგრამ ის შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას ფასიან ქაღალდების საინვესტიციო თვისებების ცვლილების სკალა, რითაც ინვესტორს შეუძლია მოაწესრიგოს ფასიან ქაღალდების პორტფელის სტრუქტურა, ჩატაროს საინვესტიციო ანალიზი

კოორდინატების განსაზღვრულ სისტემაში. ეს სკალა იწყება სახელმწიფო ობლიგაციებით, ხოლო მთავრდება — ოფციონებითა და ფიუჩერსებით.

ფიუჩერსების ბაზარზე ხორციელდება ისეთი გარიგებები, როგორიცაა ჰეჭირება და სპეციალური, რაც უფრო დიდია განსხვავება მოსაბრებებისა იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება მოსალოდნელი ფასი სპოტურ ბაზარზე, მით უფრო სავარაუდოა, რომ ბაზარზე ჭარბობდეს სპეციალური, რაც ჰეჭირების აბარტულ თამაშს, რომლის მონაწილეები ჩამოდიან ფსონს მოცემული ფასის მომავალ მნიშვნელობაზე.

ჰეჭირების ოპერაციები ასევე ზემოქმედებს ფიუჩერსული და სპოტური ფასების თანაფარდობაზე, რაც გულისხმობს არბიტრაჟის ამა თუ იმ ფორმას შესაბამის ბაზრებს შორის. თუ ფიუჩერსული ფასი აღემატება ფასს სპოტურ ბაზარზე, ჰეჭირები შესაბამის საქონელს იყიდიან სპოტურ ბაზარზე და გაყიდიან ფიუჩერსულ ვალდებულებებს. მათ შეუძლიათ განახორციელონ ეს აბერაცია რისკის გარეშე მანამ, სანამ სხვაობა ფიუჩერსულ ფასსა და სპოტურ ბაზარზე ფასს შორის აღემატება საქონლის შენახვის ხარჯებს ფიუჩერსულ ვაჭრობაში (carrying charge) (Хაუთეკერ, 2008:253).

ჰეჭირებისთვის აუცილებელია კორელაციის მაღალი დონე ფიუჩერსულ ფასებსა და იმ ფასებს შორის სპოტურ ბაზარზე, რომელიც შეიძლება აინტერესებდეს ჰეჭერს. კონტრაქტი არ უნდა იყოს ძალგებრცელი (არ უნდა მოიცავდეს მიწოდებული საქონლის ბევრ განსხვავებულ სახეობას), ამასთან, ის არ უნდა იყოს ძალგებრცელი სპეციალიზებულიც. ფასები უნდა იყოს საკმაოდ მოძრავი, რათა აზრი ჰქონდეს ჰეჭირებასა და სპეციალურიას.

ყველაფერ ამას შეუძლია ახსნას მრავალი წლის მანძილზე ვაჭრობის ობიექტის სახით ფიუჩერსულ ბაზარზე რატომ გამოდიოდა მხოლოდ ხორბალი, ზეთოვანი კულტურების თესლები, შაქარი, ბამბა, ფერადი ლითონები და რატომ არ გახდა ვაჭრობის ობიექტი ისეთი მნიშვნელოვანი საქონელიც, როგორიცაა ფოლადი, ქაღალდი, სინთეტიკური ბოჭკო. დღეისათვის ყველაზე ლიკვიდურია ფიუჩერსები ისეთ საფონდო ინდექსებზე, როგორიცაა: S&P – 500, DJI, FTSE, DAX და რიგი სხვა (Якимкин, 2006:570).

ფიუჩერსებით ვაჭრობის ერთ-ერთი ეკონომიკური ფუნქციაა რისკის გადანაწილება. სხვა ანალოგიურ ფუნქციას ზოგჯერ უწოდებენ „ფასის გამოვლენას“ (price discovery). ის დაყვანება ეტალონური კონკურენტული ფასის დადგენა- ზე ამა თუ იმ საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტისათვის. ფორმარდული ფასი ამა თუ იმ კონკურენციულ გარიგებაში შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს შემდგენაირად: ფიუჩერსულ ფასს უბრალოდ ემატება (ან გამოაკლდება) გარკვეული თანხა.

ოფციონები, ერთი მხრივ, და ფორმარდული და ფიუჩერ- სული კონტრაქტები, მეორე მხრივ, პრინციპულად განსხვა- ვებული ფასიანი ქაღალდებია. რა თქმა უნდა, ორივე იძლევა შემდგომ პერიოდში საბაზისო აქტივის შეძენის (ან გაყიდვის) უფლებას. მაგრამ, მყიდველის გრძელი პოზიცია ფორმარდული კონტრაქტის მიხედვით, ავალდებულებს კონ- ტრაქტის მფლობელს, დადგენილ ვადაში უბირობოდ იყიდოს აქტივი ფორმარდული ფასით. ამის საპირისპიროდ, ყიდვა- ზე ოფციონის მფლობელს შეუძლია გადაწყვიტოს, იყიდოს საბაზისო აქტივი შესრულების დროს თუ არა. ამგვრად, ფორ- მარდულ კონტრაქტს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი ღირე- ბულება, მაშინ, როცა ოფციონს ის უბრალოდ არ შეიძლება ჰქონდეს.

ოფციონის ფასი შინაგანი ღირებულებისა (intrinsic value) და დროითი ღირებულების (time value) ჯამია. ოფციონის შინაგანი ღირებულება (მას ხშირად უწოდებენ ოფციონის მოგებას – in-the-moneyness) – ეს არის ოფციონის ღირებულება მისი დაუყოვნებლივი რეალიზაციის პირობით. ოფციონი ითვლება მომგებიანად (in the- money), თუ მისი ღირებულება დაუყოვნებლივ შესრულები- სას დადგებითია. შინაგან ღირებულებას ფლობს მხოლოდ მომგებიანი ოფციონები. შესაბამისად, ოფციონი წამგებიანია (out-of-the-money), თუ მისი ღირებულება დაუყოვნებლივი შესრულებისას უარყოფითია და „არავისია“ ოფციონი (at-the-money), თუ მისი შესრულების ფასი საბაზისო აქტივის საბაზრო კურსის ტოლია. ოფციონის დროითი ღირებულება – ეს არის მისი პოტენციური მომავალი ღირებულება.

როდესაც გამოიწერება დაუფარავი ქოლოფციონი, ანუ რაიტერი არ ფლობს საბაზისო აქტივს, ამოქმედდება მარჯის წესები. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ორი მნიშვნელობა გამოითვლება:

— პირველი, ოფციონის პრემია პლუს საბაზისო აქტივის საკურსო ღირებულების 20%, მინუს დელტა სტრაიკ ფასსა და საბაზისო აქტივის საბაზრო კურსს შორის, თუ უკანასკნელი სტრაიკ ფასზე ნაკლებია;

— მეორე, ოფციონის პრემია პლუს საბაზისო აქტივის საკურსო ღირებულების 10%;

მარჯის შედარების რომელი მეთოდიც მეტ სიდიდეს მოგვცემს, სწორედ ეს სიდიდე იქნება საგირავნო უბრუნ- ველყოფა და ბროკერი გაყინავს ტრეიდერის დეპოზიტებს აღნიშნულ თანხას.

სპეციალისტი, რომელიც მუშაობს ვადიანი კონტრაქტების ბაზარზე, თვალყურს მიადევნებს არამხოლოდ ოფციონის შესრულების ღირებულების მოძრაობას, არამედ მის პრემიასც.

ფიუჩერსები, ოფციონები, სვოპ გარიგებები, ფორმარ- დები სრულდება სავალუტო ბაზარზეც. შემთხვევათა უმეტე- სობაში ფორმარდული კონტრაქტები იდება სავალუტო რისკისაგან დაზღვევის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია მომავალში საბაზისო ვალუტის კურსის არასახარბილო ცვლილებასთან. ამასთან, გამყიდველი, რომელიც კონტრაქ- ტით, როგორც წესი, საბაზისო ვალუტის მფლობელს წარმო- ადგენს, თავს იზღვევს მისი კურსის დაცემისაგან, ხოლო მყიდველი, რომელიც დაინტერესებულია რეალური ვალუტის მიღებით – მისი ბრდისაგან.

დღეისათვის საქართველოს 10 კომერციული ბანკი სთავაზობს ფორმარდულ კონტრაქტებს აღნიშნული მომსახუ- რებით დაინტერესებულ პირებს. კონკრეტული კონტრაქტი- სათვის ფორმარდის ფასს განსაზღვრავს კომერციული ბანკი, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინდექსი დაეხმარება მომმარებელს წარმოდგენა ჰქონდეს სავალუტო ფორმარდის საბაზრო (საშუალო) ფასებზე(იხ.ცხრილი).

## სავალუტო ფორმარდის ინდექსი ([www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge))

	ყიდვა	გაყიდვა
1 პლან	22.20	30.04
2 პლან	42.88	63.78
1 თვე	110.81	133.52
3 თვე	258.47	372.00
6 თვე	488.40	787.56
1 წელი	708.40	1,016.72

მაგრამ ფორმარდული კონტრაქტი შეიძლება გამოყე- ნებული იქნეს აგრეთვე სპეციალაციური მიზნებისათვის. საანგარიშწორებო ფორმარდი – კონტრაქტია, რომლის დახმარებითაც ფორმდება საკონვერსიო მარკეტი, რომე- ლიც ორი გარიგების კომბინაციას წარმოადგენს: გარიგე- ბას სავალუტო ფორმარდული კონტრაქტის მიხედვით და ვალდებულების შესრულებას მისი ვალუტირების თარიღი- სათვის შემხვედრი გარიგების ჩატარებით მიმდინარე სავალუტო კურსით. წაგებული მხარე მოგებულს გადაური- ცხავს სხვაობას კურსებს შორის, გამრავლებულს კონტრაქ- ტის თანხაზე. საანგარიშწორებო ფორმარდული კონტრაქ- ტის დადებისას გამყიდველი იმედოვნებს საბაზისო ვალუტის კურსის შემცირებას, მყიდველი – მის ბრდას (გოგოხიძა, 2008:326).

სავალუტო გარიგებისას გამოყენებელი ვალუტა განსხვა- ვებულია სხვადასხვა ქვეყანაში და დამოკიდებულია შესაბა- მის კანონებსა და წესებზე. ფიუჩერსული გარიგების კურსი უდრის საკასო კურსს დამატებული „სვოპი“ (გამოხატული არა

პროცენტობით, არამედ გაცვლითი კურსის პუნქტებით). სვოპი ძირითადად დამოკიდებულია პროცენტის განაკვეთებს შორის სხვაობაზე (ვინაიდან სხვადასხვა ვალუტის გასაცვლელი თანხები ან დეპოზიტიდან უნდა იქნეს ამოღებული ან – ნასესხები), და არა – ვალუტათა კურსების ცვლილებების შესახებ პროგნოზებსა და შეხედულებებზე.

ფინანსური ბაზარი მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობის შეფასების ერთგვარი ბარომეტრია. სავალუტო კურსის ფორმირების მოდელი ფინანსური აქტივების ბაზრის თეორიის პოზიციებიდან საშუალებას იძლევა აიხსნას, როგორც სავალუტო კურსების ვოლანტილობა, ასევე ვალუტის კურსის ზრდა და მისი შემდგომი დაცემა (ბახტაძე, 2007:207).

ჩვენ ვეთანხმებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მისაბრებას, რომ ფინანსური ბაზრების განვითარების ხარისხი, რომელიც ასახავს რეგულირების წესების ცვლილებებსა და ფინანსურ ინვაციებს, აისახება მონეტარული ბოლოტივის შესაძლებლობაზე, ზემოქმედება მოახდინოს რეალურ ეკონომიკაზე (Walsh, 2010:504).

დერივატივები რთული და წინააღმდეგობრივი ინსტრუმენტია. ერთი მხრივ, მისი გამოყენებით სავრძნობლად უმჯობესდება ინვესტირების მახასიათებელი პარამეტრები, გადახდისუნარიანობა, ლიკვიდურობა. დერივატივები ასევე განიხილება მოკლე პერიოდში მაღალი მოგებისა და ფინანსური რისკების შემცირების ქმედით ინსტრუმენტად. თუმცა, პრაქტიკაში დერივატივების გამოყენების საწინააღმდეგო სურათიც აჩვენა (მექვაბიშვილი, 2018:261).

## დასკვნა

დღეისათვის ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტრუმენტების მიერ შეთავაზებული ფინანსური ინსტრუმენტები მრავალფეროვანია, მათ შორისაა დერივატივებიც. ჩვენი აზრით, უცილებელია საქართველოში საფონდო ბაზრის განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ამაღლება, დეპოზიტარული და საკლირინგო ქსელის განვითარება, ვაჭრობის უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Роджер Лерой Миллер, Девид Ван Хуз (2000). Современные деньги и банковское дело, пер. с англ., М.
2. Хаутэkker X. C. (2008). Торговля фьючерсами в книге – Финансы, под ред. Дж. Итуэлла, М. Милгейта, П. Ньюемена, пер. с англ., М.
3. Якимкин В.Н.(2006). Сегментация финансового рынка, М.
4. www. nbg.gov.ge
5. გოგოხია გ. (2008). საბანკო საქმე, თბილისი.
6. ბახტაძე ლ. (2007). ფინანსური ბაზარი, თბილისი.
7. Carl E. Walsh (2010). Monetary Theory and Policy. The MIT Press. Cambridge, Massachusetts.
8. მექვაბიშვილი, ე. (2018). გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი.

## DERIVATIVES: HEDGING AND SPECULATION

**MAYA GOGOKHIA**

Doctor of Economics, Invited Associate Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia  
mayagogokhia@gmail.com

**KEYWORDS:** SECURITIES MARKET, RISK, HEDGING, SPECULATION, FUTURES, OPTIONS, FORWARDS

### SUMMARY

The purpose of the article is to demonstrate: risks arising on the securities market, the goals of hedgers and speculators. The paper discusses the main features of derivatives (the most popular securities on the modern financial markets, such as futures, options, forwards).